

## სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 11

ქ.თბილისი

20 მაისი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ვ. სამხარაძის, ი.ჩიქავას და მონაწილეობით მ/წლის 20 მაისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი.

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 7 მაისს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩი თბილისის „წიქარა“-სა და ბათუმის „ბათუმი“ შორის. მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმის და მთავარი მსაჯის გ. ტრაპაიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გამოვლინდა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები :

თბილისის „წიქარა“

1. ნიკო აბაშიძე (№5) - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ბექა რომანაძე (№ 11) - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

ბათუმის „ბათუმი“

1. მინდია ლომსანიძე (№ 9) - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.5 და სადისციპლინო კოდექსის დანართი №1- ს 2.5 პუნქტებით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ თბ „წიქარა“-ს მორაგბე ნ. აბაშიძე (№5) დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ თბ „წიქარა“-ს მორაგბე ბ. რომანაძე (№11) დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით.
3. კლუბ თბ. „წიქარა“-ს დააკლდეს 1 (ერთი) საცხრილო ქულა.
4. კლუბ ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბე მ. ლომსანიძე (№ 9) დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.

/ე. ნაჭყებია /

/ ი.ჩიქავა /

/ვ. სამხარაძე /

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი /

